

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად 2024 წლის
საანგარიშგებო პერიოდისთვის



შპს GEOFIBRE

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოების (მსს ფასს) მიხედვით

2024 წლის საანგარიშო პერიოდზე

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალი და სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება	17
5. ძირითადი საშუალებები	18
6. მიმდინარე მარაგები.....	19
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
8. ფულის და ფულის ექვივალენტი	19
9. გადაფასების რეზერვი	20
10. დაგროვილი მოგება/(ზარალი) და მარაგების კორექტირება.....	20
11. სასესხო ვალდებულება	21
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	21
13. ამონაგები და თვითღირებულება.....	21
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	22
15. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები.....	22
16. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	22
17. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები	23
18. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები	23
19. ფინანსური რისკის ფაქტორები.....	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „GEOFIBRE“-ს პარტნიორებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „GEOFIBRE“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად შპს „GEOFIBRE“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მსს ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მარაგების საბალანსო ღირებულება შეადგენს 893,682 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერს 1,210,564 ლარი). ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით ვერ მოვახერხეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულების მოპოვება მარაგების ნაშთთან დაკავშირებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით.

ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, რომელიც 2024 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 9,510,736 ლარით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის- „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი შპს „GEOFIBRE“- ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (შემდგომში IESBA კოდექსი“) შესაბამისად, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მპს „GEOFIBRE“ - ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული

პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „GEOFIBRE“ - ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „GEOFIBRE“ - ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში



Financial Experts Corporation
88, V. Gorgasali str, Batumi, 6010, Georgia
www.fec.ge, info@fec.ge
+995 422 22 77 11, +995 577 02 01 10

„კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „GEOFIBRE“-ს მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ#SARAS-A-728904)

18 ივლისი 2025 წელი

ბათუმი, საქართველო



Financial Experts Corporation
88, V. Gorgasali str, Batumi, 6010, Georgia
www.fec.ge, info@fec.ge
+995 422 22 77 11, +995 577 02 01 10

„კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „GEOFIBRE“-ს მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ#SARAS-A-7289041)

18 ივლისი 2025 წელი

ბათუმი, საქართველო



INDEPENDENT AUDITOR'S REPORT

To the Shareholders of GEOFIBRE LLC and users of financial statements

Qualified Opinion

We have audited the financial statements of GEOFIBRE LLC, which comprise the statement of financial position as at December 31, 2024 year, and the statement of comprehensive income, statement of changes in equity and statement of cash flows for the year then ended, and notes to the financial statements, including a summary of significant accounting policies.

In our opinion, except for the effects of the matter described in the Basis for qualified Opinion section of our report, the accompanying financial statements present fairly, in all material respects, the financial position of GEOFIBRE LLC as at December 31, 2024 year, and its financial performance and its cash flows for the year then ended in accordance with International Financial Reporting Standards for Small and Medium enterprises (IFRS for SMEs).

Basis for Qualified Opinion

In the statement of financial position, by the end of December 31, 2024, Inventory in balance sheet is presented as 893,682 GEL (December 31, 2023: 1,210,564 GEL). During the audit process, we were unable to obtain sufficient and appropriate evidences to proof that the inventory balance is presented accurately and reliably reflected the current situation.

In the statement of financial position net book value of Plant, Property and Equipment at 31th December 2024 is 9,510,736. During the audit process, we were unable to obtain sufficient and appropriate evidences to proof that the Plant, Property and Equipment are assessed sufficiently.

We conducted our audit in accordance with International Standards on Auditing (ISAs). Our responsibilities under those standards are further described in the *Auditor's Responsibilities for the Audit of the Financial Statements* section of our report. We are independent of GEOFIBRE LLC in accordance with the International Ethics Standards Board for Accountants' Code of Ethics for Professional Accountants (IESBA Code) together with the ethical requirements that are relevant to our audit of the financial statements in Georgia, and we have fulfilled our other ethical responsibilities in accordance with these requirements and the IESBA Code. We believe that the audit evidence we have obtained is sufficient and appropriate to provide a basis for our opinion.

Other Information

All other information is responsibility of company management. All other information contains management statements, which was provided with statement of financial position, but doesn't contain statement of financial position and auditors report, which was provided by us.

Our opinion doesn't contain other information and we don't provide any sufficient evidence on it.

Our responsibility in connection with our audit process of the financial statements is to review the other information described above and to consider whether the other information is materially inconsistent with the financial statements or the information we obtained during the audit, or otherwise appears to be materially false. If we conclude, based on the work performed, that there is a material inaccuracy in the other information above, we must inform you of this fact. In this regard, we have not found any issues that need to be reported.

Responsibilities of Management and Those Charged with Governance for the Financial Statements

Management is responsible for the preparation and fair presentation of the financial statements in accordance with IFRS for SMEs, and for such internal control as management determines is necessary to enable the preparation of financial statements that are free from material misstatement, whether due to fraud or error.

In preparing the financial statements, management is responsible for assessing GEOFIBRE LLC ability to continue as a going concern, disclosing, as applicable, matters related to going concern and using the going concern basis of accounting unless management either intends to liquidate the Company or to cease operations, or has no realistic alternative but to do so.

Those charged with governance are responsible for overseeing GEOFIBRE LLC financial reporting process.

Auditor's Responsibilities for the Audit of the Financial Statements

Our objectives are to obtain reasonable assurance about whether the financial statements as a whole are free from material misstatement, whether due to fraud or error, and to issue an auditor's report that includes our opinion. Reasonable assurance is a high level of assurance, but is not a guarantee that an audit conducted in accordance with ISAs will always detect a material misstatement when it exists. Misstatements can arise from fraud or

error and are considered material if, individually or in the aggregate, they could reasonably be expected to influence the economic decisions of users taken on the basis of these financial statements.

As part of an audit in accordance with ISAs, we exercise professional judgment and maintain professional skepticism throughout the audit. We also:

- Identify and assess the risks of material misstatement of the financial statements, whether due to fraud or error, design and perform audit procedures responsive to those risks, and obtain audit evidence that is sufficient and appropriate to provide a basis for our opinion. The risk of not detecting a material misstatement resulting from fraud is higher than for one resulting from error, as fraud may involve collusion, forgery, intentional omissions, misrepresentations, or the override of internal control.
- Obtain an understanding of internal control relevant to the audit in order to design audit procedures that are appropriate in the circumstances, but not for the purpose of expressing an opinion on the effectiveness of GEOFIBRE LLC internal control
- Evaluate the appropriateness of accounting policies used and the reasonableness of accounting estimates and related disclosures made by management.
- Conclude on the appropriateness of management's use of the going concern basis of accounting and, based on the audit evidence obtained, whether a material uncertainty exists related to events or conditions that may cast significant doubt on GEOFIBRE LLC ability to continue as a going concern. If we conclude that a material uncertainty exists, we are required to draw attention in our auditor's report to the related disclosures in the financial statements or, if such disclosures are inadequate, to modify our opinion. Our conclusions are based on the audit evidence obtained up to the date of our auditor's report. However, future events or conditions may cause the Company to cease to continue as a going concern.
- Evaluate the overall presentation, structure and content of the financial statements, including the disclosures, and whether the financial statements represent the underlying transactions and events in a manner that achieves fair presentation.

We communicate with those charged with governance regarding, among other matters, the planned scope and timing of the audit and significant audit findings, including any significant deficiencies in internal control that we identify during our audit.

Conclusion on other legislative and regulatory requirements

It is our obligation to express our opinion based on the procedures performed according to management report where "Accounting, Reporting and Audit" is matching with Georgian legislation with the following Article 7 point 6. If there is material misstatements we indicate them and present if management report is missing some information which is



Financial Experts Corporation
88, V. Gorgasali str, Batumi, 6010, Georgia
www.fec.ge, info@fec.ge
+995 422 22 77 11, +995 577 02 01 10

required by law.

Auditor's responsibility on Management Report

In our opinion, Part of the management report of LLC GEOFIBRE - the review of the activities specified in Article 7, Part 2, Clause "a" of the Law - complies with the requirements of the law, taking into account all essential aspects.

For and on behalf of Fin.Exp.Corporation LLC (SARAS-F-758026)

IRMA CHKHAIDZE (#SARAS-A-728904)

18 July, 2025

Batumi, Georgia



Financial Experts Corporation
88, V. Gorgasali str, Batumi, 6010, Georgia
www.fec.ge, info@fec.ge
+995 422 22 77 11, +995 577 02 01 10

required by law.

Auditor's responsibility on Management Report

In our opinion, Part of the management report of LLC GEOFIBRE - the review of the activities specified in Article 7, Part 2, Clause "a" of the Law - complies with the requirements of the law, taking into account all essential aspects.

For and on behalf of Fin. Exp. Corporation LLC (SARAS-F-758026)

IRMA CHKHAIDZE (SARAS-A-728904)

18 July, 2025

Batumi, Georgia



შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშ ვნა	2024	2023 კორექტირებული	2022 კორექტირებული
გრძელვადიანი აქტივი				
გრძელვადიანი მოთხოვნები		18,694	17,795	41,949
ძირითადი საშუალებები	5	9,510,736	9,887,277	9,630,470
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		9,529,430	9,905,072	9,672,419
მოკლევადიანი აქტივი				
მარაგები	6, 10	893,682	1,210,564	1,607,188
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,457,133	2,152,058	3,168,003
წინასწარ გადახდილი თანხები		171,915	90,657	707,077
საგადასახადო აქტივი		-	42,590	-
სხვა მიმდინარე აქტივები		25,711	31,509	42,983
ფული და ფულადი სახსრები	8	3,001,846	2,267,053	2,628,920
მიმდინარე აქტივების ჯამი		5,550,286	5,794,430	8,154,171
სულ აქტივი				
აქტივი სულ		15,079,716	15,699,502	17,826,590
კაპიტალი				
გადაფასების რეზერვი	9	5,801,322	6,577,535	6,577,535
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	10	(319,604)	(998,974)	(742,752)
საწესდებო კაპიტალი		8,643,900	8,643,900	8,643,900
კაპიტალის ჯამი		14,125,619	14,222,461	14,478,683
გრძელვადიანი ვალდებულება				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	492,343	418,996	624,432
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		38,467	41,949	82,516
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		530,809	460,945	706,948
მოკლევადიანი ვალდებულება				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	118,448	804,160	2,278,275
საგადასახადო ვალდებულება		1,301	-	99,798
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	11	303,039	205,436	262,386
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		500	500	500
ვალდებულებების ანარიცხი	18	-	6,000	-
ვალდებულებების ჯამი		423,288	1,016,096	2,640,959
სულ კაპიტალი და ვალდებულება				
კაპიტალი და ვალდებულება სულ		15,079,716	15,699,502	17,826,590

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით
2025 წლის 18 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

შპს "GEOFIBRE" დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულოვა ზერენ



შპს "GEOFIBRE" მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

7-25-ის რაოდენობით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

მოგება-ზარალი და სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	4,207,525	5,529,769
თვითღირებულება	13	(3,357,731)	(4,654,335)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	13	64,805	101,284
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(60,209)	(98,988)
საერთო მოგება/(ზარალი)		854,389	877,729
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი		(103,084)	(133,915)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(512,190)	(692,347)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		239,115	51,468
საპროცენტო ხარჯი		(85,608)	(87,641)
საპროცენტო შემოსავლები		27,732	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		168,000	(39,209)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	15	203,986	305,089
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(650,066)	(485,928)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(96,843)	(256,222)
მიმდინარე წლის შედეგი			
მიმდინარე წლის შედეგი		(96,843)	(256,222)
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ცვლილება გადაფასების რეზერვში		776,213	-
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის		679,370	(256,222)

შპს "GEOFIBRE"

დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულოვ



შპს "GEOFIBRE"

მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

7 - 25-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა სრული შემოსავალი	გადაფასების რეზერვი	ჯამი
31.12.2022	8,643,900	(715,331)	(27,420)	6,577,535	14,478,683
კაპიტალში შენატანში	-	-	-	-	-
მოგება/ (ზარალი) წლის	-	(256,222)	-	-	(256,222)
განმავლობაში	-	-	-	-	-
განაწილება კაპიტალიდან	-	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავლის	-	-	-	-	-
ცვლილება	-	-	-	-	-
31.12.2023	8,643,900	(971,553)	(27,420)	6,577,535	14,222,461
კაპიტალში შენატანში	-	-	-	-	-
მოგება/ (ზარალი) წლის	-	(96,843)	-	-	(96,843)
განმავლობაში	-	-	-	-	-
განაწილება კაპიტალიდან	-	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავლის	-	-	776,213	(776,213)	-
ცვლილება	-	-	-	-	-
31.12.2024	8,643,900	(1,068,396)	748,792	5,801,322	14,125,619

შპს "GEOFIBRE"
დირექტორის
მინდობილი პირი
იასინ აბდულოვაკ ზურუნ



შპს "GEOFIBRE"
მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

7 - 25-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლისგან მიღებული ფული		5,146,268	6,342,775
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული		(3,287,489)	(5,043,149)
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული		(746,546)	(1,032,404)
სხვა საბიუჯეტო გადასახადი		(491,711)	(492,021)
საპენსიო ანარიცხის გადასახადი		(25,860)	(44,132)
ბიუჯეტიდან მიღებული თანხა		292,531	157,170
ავანსის სახით მიღებული		-	304,632
ავანსის სახით გადახდილი		(170,785)	(218,838)
ბანკის საკომისიო		(9,415)	(1,611)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		706,993	(27,578)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულების გაზრდა		949,307	-
სასესხო ვალდებულების შემცირება		(778,357)	(180,686)
მიღებული პროცენტი	8	27,732	-
ძირითადი საშუალების შეძენა		(141,333)	(115,169)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		57,349	(295,855)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი პროცენტი		(85,608)	(87,641)
სესხის სუბსიდირება		24,483	107,090
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(61,125)	19,449
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები			
სავალუტო ცვლილების ეფექტი		31,575	(57,884)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)		703,218	(303,984)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საწყისი ნაშთი		2,267,053	2,628,920
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საბოლოო ნაშთი		3,001,846	2,267,053

შპს "GEOFIBRE"
დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულოლაჰ ზერენ



შპს "GEOFIBRE"
მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

7-25-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023 კორექტირებული	2022 კორექტირებული
გრძელვადიანი აქტივი				
გრძელვადიანი მოთხოვნები		18,694	17,795	41,949
ძირითადი საშუალებები	5	9,510,736	9,887,277	9,630,470
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		9,529,430	9,905,072	9,672,419
მოკლევადიანი აქტივი				
მარაგები	6, 10	893,682	1,210,564	1,607,188
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,457,133	2,152,058	3,168,003
წინასწარ გადახდილი თანხები		171,915	90,657	707,077
საგადასახადო აქტივი		-	42,590	-
სხვა მიმდინარე აქტივები		25,711	31,509	42,983
ფული და ფულადი სახსრები	8	3,001,846	2,267,053	2,628,920
მიმდინარე აქტივების ჯამი		5,550,286	5,794,430	8,154,171
სულ აქტივი				
აქტივი სულ		15,079,716	15,699,502	17,826,590
კაპიტალი				
გადაფასების რეზერვი	9	5,801,322	6,577,535	6,577,535
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	10	(319,604)	(998,974)	(742,752)
საწესდებო კაპიტალი		8,643,900	8,643,900	8,643,900
კაპიტალის ჯამი		14,125,619	14,222,461	14,478,683
გრძელვადიანი ვალდებულება				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	492,343	418,996	624,432
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		38,467	41,949	82,516
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		530,809	460,945	706,948
მოკლევადიანი ვალდებულება				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	118,448	804,160	2,278,275
საგადასახადო ვალდებულება		1,301	-	99,798
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	11	303,039	205,436	262,386
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		500	500	500
ვალდებულებების ანარიცხი	18	-	6,000	-
ვალდებულებების ჯამი		423,288	1,016,096	2,640,959
სულ კაპიტალი და ვალდებულება				
კაპიტალი და ვალდებულება სულ		15,079,716	15,699,502	17,826,590

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 18 ივლისის შემდეგი პირების მიერ:

შპს "GEOFIBRE" დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულლაჰ ზერენ

შპს "GEOFIBRE" მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

მოგება-ზარალი და სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	4,207,525	5,529,769
თვითღირებულება	13	(3,357,731)	(4,654,335)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	13	64,805	101,284
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(60,209)	(98,988)
საერთო მოგება/(ზარალი)		854,389	877,729
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი		(103,084)	(133,915)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(512,190)	(692,347)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		239,115	51,468
საპროცენტო ხარჯი		(85,608)	(87,641)
საპროცენტო შემოსავლები		27,732	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		168,000	(39,209)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	15	203,986	305,089
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(650,066)	(485,928)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(96,843)	(256,222)
მიმდინარე წლის შედეგი			
მიმდინარე წლის შედეგი		(96,843)	(256,222)
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ცვლილება გადაფასების რეზერვში		776,213	-
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის		679,370	(256,222)

შპს "GEOFIBRE"
დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულოლაჰ ზერენ

შპს "GEOFIBRE"
მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა სრული შემოსავალი	გადაფასების რეზერვი	ჯამი
31.12.2022	8,643,900	(715,331)	(27,420)	6,577,535	14,478,683
კაპიტალში შენატანში	-	-	-	-	-
მოგება/ (ზარალი) წლის განმავლობაში	-	(256,222)	-	-	(256,222)
განაწილება კაპიტალიდან	-	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავლის ცვლილება	-	-	-	-	-
31.12.2023	8,643,900	(971,553)	(27,420)	6,577,535	14,222,461
კაპიტალში შენატანში	-	-	-	-	-
მოგება/ (ზარალი) წლის განმავლობაში	-	(96,843)	-	-	(96,843)
განაწილება კაპიტალიდან	-	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავლის ცვლილება	-	-	776,213	(776,213)	-
31.12.2024	8,643,900	(1,068,396)	748,792	5,801,322	14,125,619

შპს "GEOFIBRE"
დირექტორის
მინდობილი პირი
იასინ აბდულლაჰ ზერენ

შპს "GEOFIBRE"
მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლისგან მიღებული ფული		5,146,268	6,342,775
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული		(3,287,489)	(5,043,149)
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული		(746,546)	(1,032,404)
სხვა საბიუჯეტო გადასახადი		(491,711)	(492,021)
საპენსიო ანარიცხის გადასახადი		(25,860)	(44,132)
ბიუჯეტიდან მიღებული თანხა		292,531	157,170
ავანსის სახით მიღებული		-	304,632
ავანსის სახით გადახდილი		(170,785)	(218,838)
ბანკის საკომისიო		(9,415)	(1,611)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		706,993	(27,578)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულების გაზრდა		949,307	-
სასესხო ვალდებულების შემცირება		(778,357)	(180,686)
მიღებული პროცენტი	8	27,732	-
ძირითადი საშუალების შეძენა		(141,333)	(115,169)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		57,349	(295,855)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი პროცენტი		(85,608)	(87,641)
სესხის სუბსიდირება		24,483	107,090
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(61,125)	19,449
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები			
სავალუტო ცვლილების ეფექტი		31,575	(57,884)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)		703,218	(303,984)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საწყისი ნაშთი		2,267,053	2,628,920
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საბოლოო ნაშთი		3,001,846	2,267,053

შპს "GEOFIBRE"


დირექტორის მინდობილი პირი
იასინ აბდულლაჰ ზერენ

შპს "GEOFIBRE"

მთავარი ბუღალტერი
გელა გაბაიძე

7 - 25-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე
ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები



1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს "GEOFIBRE" (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 10 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 245621233 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2008 წლის 26 ივლისს.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, ტბეთის ქუჩა N6, ხოლო ფაქტიური მისამართი: ბათუმი, ტბეთის ქუჩა N6.

კომპანიის სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულს წელს, რომელიც იწყება 1 იანვრიდან (რეგისტრაციის წელს, რეგისტრაციის თარიღიდან) და მთავრდება იმავე წლის 31 დეკემბერს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა.

რეგისტრაციის თარიღისთვის კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების შესრულება დაევალა ნეჟათ ონენს (პ/ნ 17711746318, U 07058744) /თურქეთი/, ხოლო ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორი და წილობრივი მფლობელობა გამოიყურება შემდეგნაირად:

დირექტორები

1. ნეჟათ ონენი (პ/ნ 17711746318, U 07058744) /თურქეთი/

წილის მფლობელები

1. სააქციო საზოგადოება ბეტარექს მეტალიზე იფლიქ ვე ამბალაჟ სანაი (0167001169400016) /თურქეთი/

კომპანიის მენეჯმენს ახორციელებს დირექტორის მინდობილი პირი იასინ აბდულლაჰ ზერენ.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ზოგადი

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა 2023 და 2022 წლების საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას
- გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (პირდაპირი მეთოდით)
- ე) განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში. ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს :

	დოლარი	ევრო
31.12.2022	2.7020	2.8844
31.12.2023	2.6894	2.9753
31.12.2024	2.8068	2.9306

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდით, შემოსავლის მიღების უფლების მოპოვების შესაბამისად. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

კომპანიის ძირითადი შემოსავალი გენერირებულია წარმოებული ტექსტილის ბოჭკოს (მაფის) ექსპორტზე რეალიზაციიდან.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს
- ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა
- დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

(გ) სავაჭრო დებიტორული და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

სავაჭრო დებიტორულ მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა გადაანგარიშდება კომპანიის წარსადგენ ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება/ზარალში.

(დ) გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, (გარდა არამატერიალური აქტივისა) ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და

მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის ვადის მქონე მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

(ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ან სხვა აქტივის ღირებულებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო გამოყენების ვადები
შენობები	30 - 50 წლამდე
მანქანა დანადგარები	5 - 10 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 - 10 წლამდე
დაცვის სისტემები	5 - 10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5 - 10 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც შემდგომ აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)**

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

(თ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები არის აქტივები. აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ზოგადად, პროდუქციის მწარმოებელი საწარმოსთვის მარაგები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

(ა) მზა პროდუქცია—აქტივები გამიზნულია გასაყიდად ჩვეული საქმიანობის პროცესში;

(ბ) დაუმთავრებელი წარმოება—აქტივები მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;

(გ) სახარჯი მასალები—აქტივები, რომლებიც წარმოდგენილია მასალების სახით და განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისთვის.

(დ) ნედლეული და მასალები—აქტივები, რომლებიც წარმოდგენილია ნედლეულის სახით და განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისთვის.

სახარჯი მასალები და ნედლეული და მასალები გამიზნულია საწარმოს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში გამოსაყენებლად, მზა პროდუქცია, პირველ რიგში, განკუთვნილია მომხმარებლებზე გასაყიდად.

მარაგები წარმოადგენს მოკლევადიან აქტივებს.

როდესაც ელემენტები, როგორცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნოლოგიური საშუალებებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები ვერ აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განმარტებას ისინი კლასიფიცირდებიან, როგორც მარაგები.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა კომპანიისთვის დაბრუნებადი გადასახადებისა), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო ჩაირთვება აქტივის თვითღირებულებაში.

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

**შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)**

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

1. გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით)
2. კანონმდებლობიდან
3. სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაწინებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს და შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდება თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვადულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისთვის.

(მ) ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან

ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება. თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(პ) სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები

სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში

სააღრიცხვო შეფასების ცვლილება ეს არის აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში შესწორება, ან აქტივის პერიოდული გამოყენების თანხა, რომელიც გამომდინარეობს მისი მიმდინარე სტატუსიდან, ან აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან ვალდებულების შეფასებიდან. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ახალი ინფორმაციით ან ახალი მოვლენებით, შესაბამისად, არ წარმოადგენს შეცდომების გასწორებას.

შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

ა) ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის; და

ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

ეს შეცდომები მოიცავს მათემატიკური შეცდომების შედეგებს, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებულ შეცდომებს, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევებსა და თაღლითობის შემთხვევებს.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების პერსპექტიულად გამოყენება და სააღრიცხვო შეფასებაში შეტანილი ცვლილებების ეფექტის აღიარება, შესაბამისად, წარმოადგენს:

ა) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ იმ თარიღის შემდეგ, როცა სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა; და

ბ) სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების ეფექტის აღიარებას მიმდინარე და იმ მომავალ პერიოდებში, რომლებიც ამ ცვლილების გავლენას განიცდიან.

სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების შედეგი, აისახება მოგებაში ან ზარალში პერსპექტიულად:

ა) იმ პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას, თუ ეს ცვლილება ზემოქმედებს მხოლოდ აღნიშნულ პერიოდზე; ან

ბ) იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ცვლილება და შემდგომ პერიოდებში, თუ ეს ცვლილება მომავალ პერიოდებზეც ახდენს ზემოქმედებას.

საწარმომ რეტროსპექტიულად უნდა შეასწოროს წინა პერიოდის არსებითი შეცდომები გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომები გამოვლინდა და ეს უნდა გაკეთდეს შემდეგი გზით:

ა) იმ წარდგენილი პერიოდის (პერიოდების) შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან

ბ) ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ პერიოდთაგან ყველაზე წინა პერიოდად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალების ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	მიწის ნაკვეთები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	შენობები ნაგებობა	ჯამი
2023							
<u>ძირითადი საშუალებები</u>							
საწყისი ძირითადი საშუალებები	311,936	4,083,838	2,145,785	14,721	303,498	5,890,369	12,750,146
ძირითადი საშუალების შემოსვლა	690,677	-	-	-	-	-	690,677
საბოლოო ძირითადი საშუალებები	1,002,613	4,083,838	2,145,785	14,721	303,498	5,890,369	13,440,823
<u>ძირითადი საშუალებების ცვეთა</u>							
საწყისი დაგროვილი ცვეთა	(221,734)	(2,227,327)	-	(13,303)	(130,111)	(527,201)	(3,119,676)
ცვეთის დარიცხვა	(47,814)	(235,480)	-	(840)	(12,220)	(137,517)	(433,871)
საბოლოო დაგროვილი ცვეთა	(269,547)	(2,462,807)	-	(14,144)	(142,331)	(664,718)	(3,553,546)
<u>ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება</u>							
ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება	733,066	1,621,031	2,145,785	577	161,168	5,225,651	9,887,277
2024							
<u>ძირითადი საშუალებები</u>							
საწყისი ძირითადი საშუალებები	1,002,613	4,083,838	2,145,785	14,721	303,498	5,890,369	13,440,823
ძირითადი საშუალების შემოსვლა	-	471,492	-	-	-	39,502	510,994
ძირითადი საშუალების გასვლა	-	(1,922,062)	-	-	-	-	(1,922,062)
საბოლოო ძირითადი საშუალებები	1,002,613	2,633,267	2,145,785	14,721	303,498	5,929,871	12,029,755
<u>ძირითადი საშუალებების ცვეთა</u>							
საწყისი დაგროვილი ცვეთა	(269,547)	(2,462,807)	-	(14,144)	(142,331)	(664,718)	(3,553,546)
ცვეთის დარიცხვა	(43,647)	(203,913)	-	(73)	(12,220)	(138,834)	(398,686)
დარიცხული ცვეთის შემცირება	-	1,238,905	-	-	-	-	1,238,905
საბოლოო დაგროვილი ცვეთა	(313,195)	(1,427,814)	-	(14,216)	(154,551)	(803,552)	(2,713,327)
<u>ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება</u>							
ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება	689,418	1,399,761	2,145,785	504	148,948	5,126,319	9,510,736

ძირითადი საშუალებები 2022 წლის საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის იქნა გადაფასებული. გადაფასებისათვის მოწვეული იყო დამოუკიდებელი შემფასებელი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს უძრავი და მოძრავი აქტივების შეფასების სერტიფიკატი. გადაფასებით მიღებული ნამეტი აღიარებული არის საკუთარი კაპიტალის ნაწილში, გადაფასების რეზერვის მუხლში.

კომპანიის უძრავი ქონება არის კომპანიის მიერ აღებული სესხის უზრუნველყოფის საგანი.

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

6. მიმდინარე მარაგები

კომპანია წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს ყიდულობს უცხოელი მომწოდებლებისაგან და საქართველოში შემოაქვს საბაჟო იმპორტის რეჟიმით. კომპანიის მიერ წარმოებული მზა პროდუქცია მთლიანად ექცევა ექსპორტის რეჟიმში და რეალიზდება უცხოელ მომხმარებლებზე.

მარაგები, 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023	2022
<u>მზა პროდუქცია</u>			
წარმოებული მზა პროდუქცია	233,895	185,943	110,281
მზა პროდუქცია ჯამი	233,895	185,943	110,281
<u>მიმდინარე მარაგი</u>			
მარაგი გადამუშავების პროცესში	47,732	146,204	99,751
ნედლეული	381,397	827,246	1,318,992
სხვა სამეურნეო საქონელი	230,659	51,172	78,164
მიმდინარე მარაგი ჯამი	659,787	1,024,622	1,496,907
სულ მარაგი	893,682	1,210,564	1,607,188

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023	2022
<u>მოკლევადიანი მოთხოვნები</u>			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,404	2,028,370	3,168,003
მოთხოვნები არარეზ. მიმართ. მიწ. და მომსახურებიდან	1,454,098	125,057	-
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(1,369)	(1,369)	-
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	1,457,133	2,152,058	3,168,003

8. ფულის და ფულის ექვივალენტი

ფულის და ფულის ექვივალენტი, 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023	2022
<u>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</u>			
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	7,587	3,430	356
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,992	7,367	10,685
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	915,516	1,866,292	2,617,879
მოკლევადიანი დეპოზიტი	2,072,751	389,963	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ჯამი	3,001,846	2,267,053	2,628,920

**შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)**

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთების კლასიფიცირება შეიძლება როგორც რისკის გარეშე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც განთავსებულია კომპანიის მიმდინარე ანგარიშები არის საიმედო და ფართოდ ცნობილი ქართული საფინანსო ორგანიზაციები.

ანგარიშგების პერიოდისათვის კომპანიას გააჩნია დეპოზიტები მომსახურე ბანკებში და იღებს საპროცენტო შემოსავალს. 2024 წლისთვის დეპოზიტებისგან მიღებულმა პროცენტმა შეადგინა 27,732 ლარი. აღნიშნული დეპოზიტები არის სამ თვემდე ვადიანობის მქონე და შესაბამისად კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტები. კომპანიის დეპოზიტი თანხით 78,265 არის კომპანიის მიერ აღებული სესხის უზრუნველყოფის საგანი.

9. გადაფასების რეზერვი

კომპანიამ 2022 წელში მოახდინა ძირითადი საშუალებების შეფასება არსებული საბაზრო ღირებულებით. ძირითადი ღირებულების თავდაპირველი აფასების თანხა აღიარებული არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საკუთარი კაპიტალისა (გადაფასების რეზერვი) და ძირითადი საშუალებების მუხლებში და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2024 წელში გადაფასებული ძირითადი საშუალებების ნაწილის ჩამოიწერა ძირითადი საშუალებების ანგარიშიდან და შესაბამისად მოხდა ასეთი აქტივებისთვის ადრე ღირებულების აფასებით გაზრდილი გადაფასის რეზერვის შემცირება. ასეთი აქტივებით გაზრდილი გადაფასების რეზერვის შესაბამისი თანხები გადავიდა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.

10. დაგროვილი მოგება/(ზარალი) და მარაგების კორექტირება

კომპანიამ მიმდინარე წელს აღმოაჩინა წინა პერიოდის შეცდომა, რომელიც დაკავშირებული იყო 2021 წლის პერიოდში მარაგებთან. აღნიშნული შეცდომიდან გამომდინარე მომდევნო წლების დაგროვილი მოგება/(ზარალი) ზედმეტად იყო შეფასებული. შეცდომა გასწორდა რეტროსპექტულად. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაგროვილი მოგება/(ზარალი)-ის საწყისი ნაშთი შეიცვალა 89,455 ლარით.

შეცვლილი მაჩვენებლების შეჯამება წარმოდგენილია შემდეგად:

მუხლი	2022	კორექტირება	2022 (კორექტირებული)	2023 (კორექტირებული)
მარაგები	1,687,050	(79,863)	1,607,187	1,210,564
საგადასახადო აქტივი	84,759	(9,592)	75,167	42,590
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	(653,296)	(89,455)	(742,751)	(998,974)

11. სასესხო ვალდებულება

სასესხო ვალდებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შენდევნაირად:

	2024	2023	2022
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	492,343	418,996	624,432
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	303,039	205,436	262,386
სულ სასესხო ვალდებულება	795,382	624,432	886,818

კომპანიას აწარმოე საქართველოს პროექტის ფარგლებში აღებული აქვს სესხი კომერციული ბანკისგან, რომლის პროცენტის ნაწილის თანადაფინანსება ხდება აწარმოე საქართველოს სააგენტოს მიერ.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულება 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შენდევნაირად:

	2024	2023	2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	22,988	44,252	2,278,275
არარეზ. მიერ. მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	2,703	636,165	-
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	17,943	18,173	-
ადმინისტრაციული ხელფასები	17,727	16,015	-
წარმოების პერსონალის ხელფასები	57,087	89,555	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	118,448	804,160	2,278,275

13. ამონაგები და თვითღირებულება

ამონაგები და თვითღირებულება 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შენდევნაირად:

	2024	2023
ამონაგები		
შემოსავალი რეალიზაციიდან - ექსპორტი	4,207,525	5,529,769
ამონაგების ჯამი	4,207,525	5,529,769
სხვა საოპერაციო შემოსავლები		
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	12,441	2,296
შემოსავალი რეალიზაციიდან - სხვა შემოსავლები	52,364	98,988
სხვა საოპერაციო შემოსავლების ჯამი	64,805	101,284
სულ ამონაგების და სხვა საოპერაციო შემოსავლები	4,272,330	5,631,052
თვითღირებულება		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება - ექსპორტი	(3,357,731)	(4,654,335)
მიწოდებული მომსახურების ხარჯი	(7,845)	-
სხვა საწარმოო თვითღირებულების ხარჯი	(52,364)	(98,988)
თვითღირებულება ჯამი	(3,417,940)	(4,753,323)

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		
ადმინისტრაციული ხელფასი	(206,895)	(274,008)
ბანკის საკომისიო	(7,814)	(1,613)
დაზღვევის ხარჯი	(7,711)	(8,750)
კომუნალური ხარჯი	(33,468)	(26,656)
მომსახურების ხარჯები	(108,289)	(105,399)
რემონტის ხარჯი	(3,945)	(39,123)
საგადასახადო ხარჯი	(87,028)	(80,737)
საექვო მოთხოვნის ანარიცხი	-	(3,802)
სამეურნეო ხარჯი	(13,443)	(16,673)
საწვავის ხარჯი	(5,503)	(4,720)
ცვეთა	(28,879)	(89,551)
დავის ანარიცხი	-	(6,000)
სხვა ხარჯი	(9,215)	(35,315)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი ჯამი	(512,190)	(692,347)

15. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		
დაფინანსების ფარგლებში მიღებული შემოსავალი	27,071	107,090
ინვენტარიზაციის ზედმეტობა	75,452	16,212
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	101,463	181,787
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები ჯამი	203,986	305,089

16. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

სხვა არასაოპერაციო ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		
გაფუჭებული ნედლეული	(278,439)	(464,237)
საშემფასებლო მომსახურება	-	(400)
ჯარიმა და საურავი	(3,730)	(19,048)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	(365,756)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(2,142)	(2,243)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები ჯამი	(650,066)	(485,928)

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

17. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

პერიოდი	2024	2023	2022
ძირითადი მენეჯმენტის ხელფასი	62,505	70,757	63,750

სავაჭრო მოთხოვნები (საქონლის რეალიზაცია)

დაკავშირებული მხარე	ოპერაციების მოცულობა 2024				ოპერაციების მოცულობა 2023			
	საწყისი ნაშთი დებეტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	საბოლოო ნაშთი დებეტი	საწყისი ნაშთი დებეტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	საბოლოო ნაშთი დებეტი
BETAREKS METALIZE IPLIK VE AMBALAJ SAN.A.S	2,152,058	5,633,045	6,433,653	1,351,450	3,166,007	5,482,940	6,496,889	2,152,058

სავაჭრო ვალდებულება (საქონლის შეძენა)

დაკავშირებული მხარე	ოპერაციების მოცულობა 2024				ოპერაციების მოცულობა 2023			
	საწყისი ნაშთი კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	საბოლოო ნაშთი კრედიტი	საწყისი ნაშთი კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	საბოლოო ნაშთი კრედიტი
BETAREKS METALIZE IPLIK VE AMBALAJ SAN.A.S	634,786	2,569,761	1,936,238	1,263	2,173,352	4,200,671	2,662,105	634,786

შპს GEOFIBRE-ს დაკავშირებული მხარე არის კომპანია BETAREKS METALIZE IPLIK VE AMBALAJ SAN.A.S, რომელიც შპს GEOFIBRE-ს 100% წილის მფლობელია. შპს GEOFIBRE კომპანია BETAREKS METALIZE IPLIK VE AMBALAJ SAN.A.S-სგან ყიდულობს წარმოებისათვის საჭირო ნედლეულსა და ძირითად საშუალებებს. წარმოებული პროდუქციის ძირითად ნაწილს კი აწვდის ასევე კომპანია BETAREKS METALIZE IPLIK VE AMBALAJ SAN.A.S-ს.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო რეალიზაციის მონაცემები შესულია მოგება-ზარალი და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

18. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები,

**შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)**

რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები. საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვევლობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას 2023 წელში ჰქონდა სასამართლო დავა, რომელიც 2023 წლის ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის არ იყო დასრულებული. კომპანიის შეფასებით, მაღალი ალბათობით სასამართლო დავა არ დასრულდებოდა კომპანიის სასარგებლოდ, რის გამოც შექმნა ანარიცხი შესაბამისი შესაძლო ფულადი ჯარიმის ოდენობით. 2024 წელში კომპანიამ გადაიხადა ჯარიმის თანხა.

დაზღვევა

კომპანია საანგარიშო პერიოდში სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით, სადაზღვევო პაკეტი მოიცავს, თანამშრომელთა სიცოცხლის დაზღვევას.

19. ფინანსური რისკის ფაქტორები

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების

შპს "GEOFIBRE"-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

არსებობას. თუმცა დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკუროსო სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.


ფინანსური აქტივები	EUR	USD
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	521,534
ფული და ფულადი სახსრები	7,907	1,055,854
სულ ფინანსური აქტივები	7,907	1,577,388

ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	961
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	961
საბალანსო პოზიცია	7,907	1,576,427

GEL/USD		GEL/EUR	
20%	-20%	20%	-20%
4,424,714	4,424,714	23,173	23,173
5,309,657	3,539,771	27,808	18,539
884,943	(884,943)	4,635	(4,635)

ჯეოფიბრე
GEOFIBRE

მმართველობითი ანგარიშგება



სარჩევი

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია	3
სამომავლო გეგმები	3
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ	3
კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებმაც გავლენა იქონია ფინანსური ანგარიშგების მუხლებზე	4
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:	5
დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	7
2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია

შპს "GEOFIBRE" (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 10 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 245621233 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2008 წლის 26 ივლისს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა.

კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს დამზადებული ბოჭკოს გატანა ექსპორტზე.

სამომავლო გეგმები

კომპანიის ძირითად სამომავლო გეგმებში შედის დამატებითი საქმიანობის განხორციელება, რაც გულისხმობს რვეულების წარმოებას. კომპანიას აქვს სესხი, რომელიც დაკავშირებულია ამ გეგმის რეალიზებასთან. რვეულების რეალიზაცია იგეგმება საქართველოს, თურქეთისა და ამერიკის ტერიტორიაზე.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევასა თუ შემუშავების აქტივობებში.

	შენიშვნები/Notes	2024	2023	2022
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი მოთხოვნები		18,694	17,795	41,949
ძირითადი საშუალებები	5	9,510,736	9,887,277	9,630,470
არამატერიალური აქტივები		-	-	-
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		9,529,430	9,905,072	9,672,419
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6, 10	893,682	1,210,564	1,607,188
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,457,133	2,152,058	3,168,003
წინასწარ გადახდილი თანხები		171,915	90,657	707,077
საგადასახადო აქტივი		-	42,590	-
სხვა მიმდინარე აქტივები		25,711	31,509	42,983
ფული და ფულადი სახსრები	8	3,001,846	2,267,053	2,628,920
მიმდინარე აქტივების ჯამი		5,550,286	5,794,430	8,154,171
სულ აქტივები:		15,079,717	15,699,502	17,826,590
კაპიტალი				
გადაფასების რეზერვი	9	5,801,323	6,577,535	6,577,535
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	10	(319,604)	(998,974)	(742,752)
საწესდებო კაპიტალი		8,643,900	8,643,900	8,643,900
კაპიტალის ჯამი		14,125,619	14,222,461	14,478,683
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	492,343	418,996	624,432
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		38,467	41,949	82,516
გრძელვადიანი ვალდებულებულებების ჯამი		530,809	460,945	706,948
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	118,448	810,160	2,278,275
საგადასახადო ვალდებულება		1,301	-	99,798
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	11	303,039	205,436	262,386
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		500	500	500
ვალდებულებების ჯამი		423,288	1,016,096	2,640,959
სულ კაპიტალი და ვალდებულება		15,079,716	15,699,502	17,826,590

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები/Notes	2024	2023
შემოსავალი	13	4,207,525	5,529,769
თვითღირებულება	13	(3,357,731)	(4,654,332)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		64,805	101,284
სხვა საოპერაციო ხარჯები		(60,209)	(98,988)
მთლიანი მოგება		854,390	877,733
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი		(103,085)	(133,915)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(512,190)	(692,347)
საოპერაციო მოგება		239,115	51,468
საპროცენტო ხარჯი		(85,608)	(87,641)
საპროცენტო შემოსავლები		27,733	
კურსთაშორის სხვაობა ნეტო		168,000	(39,209)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	15	203,986	305,089
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(650,066)	(485,928)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(96,843)	(256,222)
მიმდინარე წლის შედეგი		(96,843)	(256,222)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ცვლილება გადაფასების რეზერვში	776,213	-
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის	679,370	(256,222)

ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:

	2024	2023	2022
მიმდინარე აქტივები	5,550,286	5,794,430	8,154,171
მიმდინარე ვალდებულებები	423,288	1,016,096	2,640,959
მიმდინარე ლიკვიდობა	13.11	5.70	3.09

გასული წლის მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელი 5,7-დან გაიზარდა 13,32-მდე. აღნიშნული ზრდა მიუთითებს ლიკვიდობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე, თუმცა მნიშვნელოვანია რომ ლიკვიდობის კოეფიციენტი ცდება ნორმის ზედა ზღვარს, მნიშვნელოვანია გადაიხედოს მარაგები, რომელიც მოქმედებს ამ კოეფიციენტის სიჭარბეზე და დაარეგულიროს მაჩვენებელი.

2024	2023	2022
------	------	------

მმართველობითი ანგარიშგება

მიმდინარე აქტივები (მარაგის გამოკლებით)	4,656,604	4,583,866	6,546,983
მიმდინარე ვალდებულებები	423,288	1,016,096	2,640,959
სწრაფი ლიკვიდობა	11.00	4.51	2.48

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი გაიზარდა 2.4-ჯერ გასულ წელთან შედარებით. აღნიშნული ზრდა მიუთითებს კომპანიის ძალიან ძლიერ ლიკვიდობაზე. კერძოდ, კომპანიას თითქმის 11-ჯერ აჭარბებს მოკლევადიან ვალდებულებებს ლიკვიდური აქტივების საშუალებით. მნიშვნელოვანია, კომპანიამ სამომავლოდ გაითვალისწინოს ეს მონაცემები და იმუშაოს აქტივების უფრო პროდუქტიულ გამოყენებაზე.

	2024	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,457,133	2,152,058	3,168,003
შემოსავლი	4,207,525	5,529,769	9,250,929
დებიტორული დავალიანების ბრუნვალობა (კოეფიციენტი)	35%	39%	34%

დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი აღნიშნავს რამდენად ეფექტურად გარდაქმნის კომპანია გაყიდვებს ფულად შემოსავლებად. დებიტორები შეადგენს შემოსავლის მესამედს, რაც საყურადღებოა, თუმცა არსებული ვითარება დამაკმაყოფილებელია კომპანიის მენეჯმენტისთვის. კოეფიციენტის მაჩვენებლის სიჭარბე გამოწვეულია შემდეგი მიზეზით, კომპანიის მოთხოვნა ძირითადად წარმოშობილია მისი ძირითადი დებიტორის მოთხოვნის სიჭარბის გამო, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის დაკავშირებულ მხარეს.

	2024	2023	2022
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)	239,115	51,468	447,931
შემოსავლი	4,207,525	5,529,769	9,250,929
მთლიანი სრული შემოსავლის/ (ზარალის) კოეფიციენტი	6%	1%	5%

აღნიშნული კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 2024 წლისთვის, მიუხედავად იმისა რომ შემოსავალი მნიშვნელოვნად შეცვლილი არ არის (შემცირებულია), კოეფიციენტის გაუმჯობესება მიუთითებს ხარჯების უკეთ მართვაზე.

	2024	2023	2022
წმინდა მოგება (ზარალი)	(96,843)	(256,222)	145,125
შემოსავლი	4,207,525	5,529,769	9,250,929
წმინდა მოგების (ზარალის) კოეფიციენტი	(0)	(0)	0

2024 წლისვის, კომპანიის წმინდა მოგება (ზარალი)-ის მაჩვენებელი კვლავ უარყოფითია, თუმცა 2023 წელთან შედარებით შედეგი გაუმჯობესდა. საოპერაციო მოგება 2024 წელს პოზიტიური იყო, მაგრამ არასაოპერაციო ფაქტორების გათვალისწინებით კომპანია ზარალზეა. რეკომენდირებულია არასაოპერაციო ხარჯების განხილვა და შეძლებისდაგვარად მათი შემცირება.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს ჩვენს კომპანიაში არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოო მიზნები და პოლიტიკა რისკებთან მიმართებაში


სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება უარყოფითად მოქმედებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე. აქედან გამომდინარე ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი.

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა რისკებზე და მათ მართვაზე იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 12 სექტემბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

დირექტორი

ნეჟათ ონენი



ჯეოფიბრე
GEOFIBRE

მმართველობითი ანგარიშგება



სარჩევი

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია	3
სამომავლო გეგმები	3
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ	3
კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა	3
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:	5
დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	6
2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია

შპს "GEOFIBRE" (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 10 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 245621233 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2008 წლის 26 ივლისს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა.

კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს დამზადებული ბოჭკოს გატანა ექსპორტზე,

სამომავლო გეგმები

კომპანიის ძირითად სამომავლო გეგმებში შედის დამატებითი საქმიანობის განხორციელება, რაც გულისხმობს რვეულების წარმოებას. კომპანიას აქვს სესხი, რომელიც დაკავშირებულია ამ გეგმის რეალიზებასთან. რვეულების რეალიზაცია იგეგმება საქართველოს, თურქეთისა და ამერიკის ტერიტორიაზე.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფიანანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევასა თუ შემუშავების აქტივობებში.

	შენიშვნები/Notes	2024	2023	2022
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი მოთხოვნები		18,694	17,795	41,949
ძირითადი საშუალებები	5	9,510,736	9,887,277	9,630,470
არამატერიალური აქტივები		-	-	-
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		9,529,430	9,905,072	9,672,419
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6, 10	893,682	1,210,564	1,607,188
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,457,133	2,152,058	3,168,003
წინასწარ გადახდილი თანხები		171,915	90,657	707,077
საგადასახადო აქტივი		-	42,590	-
სხვა მიმდინარე აქტივები		25,711	31,509	42,983
ფული და ფულადი სახსრები	8	3,001,846	2,267,053	2,628,920
მიმდინარე აქტივების ჯამი		5,550,286	5,794,430	8,154,171
სულ აქტივები:		15,079,717	15,699,502	17,826,590
კაპიტალი				
გადაფასების რეზერვი	9	5,801,323	6,577,535	6,577,535
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	10	(319,604)	(998,974)	(742,752)
საწესდებო კაპიტალი		8,643,900	8,643,900	8,643,900
კაპიტალის ჯამი		14,125,619	14,222,461	14,478,683
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	492,343	418,996	624,432
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		38,467	41,949	82,516
გრძელვადიანი ვალდებულებულებების ჯამი		530,809	460,945	706,948
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	118,448	810,160	2,278,275
საგადასახადო ვალდებულება		1,301	-	99,798
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	11	303,039	205,436	262,386
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		500	500	500
ვალდებულებების ჯამი		423,288	1,016,096	2,640,959
სულ კაპიტალი და ვალდებულება		15,079,716	15,699,502	17,826,590

	შენიშვნები/Notes	<u>2024</u>	<u>2023</u>
შემოსავალი	13	4,207,525	5,529,769
თვითღირებულება	13	(3,357,731)	(4,654,332)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		64,805	101,284
სხვა საოპერაციო ხარჯები		(60,209)	(98,988)
მთლიანი მოგება		854,390	877,733
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი		(103,085)	(133,915)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(512,190)	(692,347)
საოპერაციო მოგება		239,115	51,468
საპროცენტო ხარჯი		(85,608)	(87,641)
საპროცენტო შემოსავლები		27,733	
კურსთაშორის სხვაობა ნეტო		168,000	(39,209)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	15	203,986	305,089
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(650,066)	(485,928)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(96,843)	(256,222)
მიმდინარე წლის შედეგი		(96,843)	(256,222)

ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:

	2024	2023	2022
მიმდინარე აქტივები	5,550,286	5,794,430	8,154,171
მიმდინარე ვალდებულებები	423,288	1,016,096	2,640,959
მიმდინარე ლიკვიდობა	13.11	5.70	3.09

გასული წლის მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელი 5,7-დან გაიზარდა 13,32-მდე. აღნიშნული ზრდა მიუთითებს ლიკვიდობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე, თუმცა მნიშვნელოვანია რომ ლიკვიდობის კოეფიციენტი ცდება ნორმის ზედა ზღვარს, მნიშვნელოვანია გადაიხედოს მარაგები, რომელიც მოქმედებს ამ კოეფიციენტის სიჭარბეზე და დაარეგულიროს მაჩვენებელი.

	2024	2023	2022
მიმდინარე აქტივები (მარაგის გამოკლებით)	4,656,604	4,583,866	6,546,983
მიმდინარე ვალდებულებები	423,288	1,016,096	2,640,959
სწრაფი ლიკვიდობა	11.00	4.51	2.48

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი გაიზარდა 2.4-ჯერ გასულ წელთან შედარებით. აღნიშნული ზრდა მიუთითებს კომპანიის ძალიან ძლიერ ლიკვიდობაზე. კერძოდ, კომპანიას თითქმის 11-ჯერ აჭარბებს

მმართველობითი ანგარიშგება

მოკლევადიან ვალდებულებებს ლიკვიდური აქტივების საშუალებით. მნიშვნელოვანია, კომპანიამ სამომავლოდ გაითვალისწინოს ეს მონაცემები და იმუშაოს აქტივების უფრო პროდუქტიულ გამოყენებაზე.

	2024	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,457,133	2,152,058	3,168,003
შემოსავლი	4,207,525	5,529,769	9,250,929
დებიტორული დავალიანების ბრუნვალობა (კოეფიციენტი)	35%	39%	34%

დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი აღნიშნავს რამდენად ეფექტურად გარდაქმნის კომპანია გაყიდვებს ფულად შემოსავლებად. დებიტორები შეადგენს შემოსავლის მესამედს, რაც საყურადღებოა, თუმცა არსებული ვითარება დამაკმაყოფილებელია კომპანიის მენეჯმენტისთვის. კოეფიციენტის მაჩვენებლის სიჭარბე გამოწვეულია შემდეგი მიზეზით, კომპანიის მოთხოვნა ძირითადად წარმოშობილია მისი ძირითადი დებიტორის მოთხოვნის სიჭარბის გამო, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის დაკავშირებულ მხარეს.

	2024	2023	2022
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)	239,115	51,468	447,931
შემოსავლი	4,207,525	5,529,769	9,250,929
მთლიანი სრული შემოსავლის/ (ზარალის) კოეფიციენტი	6%	1%	5%

აღნიშნული კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 2024 წლისთვის, მიუხედავად იმისა რომ შემოსავალი მნიშვნელოვნად შეცვლილი არ არის (შემცირებულია), კოეფიციენტის გაუმჯობესება მიუთითებს ხარჯების უკეთ მართვაზე.

	2024	2023	2022
წმინდა მოგება (ზარალი)	(96,843)	(256,222)	145,125
შემოსავლი	4,207,525	5,529,769	9,250,929
წმინდა მოგების (ზარალის) კოეფიციენტი	(0)	(0)	0

2024 წლისთვის, კომპანიის წმინდა მოგება (ზარალი)-ის მაჩვენებელი კვლავ უარყოფითია, თუმცა 2023 წელთან შედარებით შედეგი გაუმჯობესდა. საოპერაციო მოგება 2024 წელს პოზიტიური იყო, მაგრამ არასაოპერაციო ფაქტორების გათვალისწინებით კომპანია ზარალზეა. რეკომენდირებულია არასაოპერაციო ხარჯების განხილვა და შეძლებისდაგვარად მათი შემცირება.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს ჩვენს კომპანიაში არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოო მიზნები და პოლიტიკა რისკებთან მიმართებაში

სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება უარყოფითად მოქმედებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე. აქედან გამომდინარე ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი.

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა რისკებზე და მათ მართვაზე იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 12 სექტემბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

დირექტორი

ნეჟათ ონენი